ეროვნული ბიბლიოთეკა

IX საერთაშორისო ფესტივალი

# აღდგომიდან ამაღლებამდე

# FROM EASTER TO ASCENSION

THE 9th INTERNATIONAL FESTIVAL

საქართველო 2014 GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები:

## FOUNDERS AND ORGANIZERS OF THE FESTIVAL:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

The International Charitable Foundation of the Catholicos-Patriarch of All Georgia

„აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია“

“Akaki Ramishvili Foundation – Tradition and Innovation”

## ფესტივალის პარტნიორები: PARTNERS OF THE FESTIVAL:

თელასი TELASI

ვანისა და ბაღდათის ეპარქია
EPARCHY OF VANI AND BAGDATI

## მხარდამჭერები: SUPPORTERS:

SOCAR ENERGY GEORGIA

ყვავილების სამხატვრო სალონი Art-Flor-Design

ეროვნული ბიბლიოთეკა







IX საერთაშორისო ფესტივალი

# ႠႶႣႢႭႫႨႣႠႬ ႠႫႠႶႪႤႡႠႫႣႤ

# FROM EASTER TO ASCENSION

## THE 9th INTERNATIONAL FESTIVAL

სამხატვრო ხელმძღვანელი – **ალექსანდრე კორსანტია**

Artistic Director – **ALEXANDER KORSANTIA**

| | | |
|---|---|---|
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ | 25, 27. 04; 8, 9, 10, 30.05 | TBILISI |
| ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ | 4.05 | KVARELI |
| ᲕᲐᲜᲘ | 22.05 | VANI |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 23.05 | BATUMI |



ეროვნული ბიბლიოთეკა



I ფესტივალი, თბილისი (2006) The First Festival, Tbilisi

ფესტივალი დაარსდა 2006 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. დამფუძნებლები არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და „აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია".

ფესტივალი, რომელსაც იმთავითვე პარტნიორობას უწევენ ქ. თბილისის მერია და სს „თელასი", ყოველწლიურია და ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2006-2010 წლებში ფესტივალს სამხატვრო ხელმძღვანელობა გაუწიეს გამოჩენილმა მუსიკოსებმა მარინე იაშვილმა, ლიანა ისაკაძემ, ბიძინა კვერნაძემ, ანზორ ერქომაიშვილმა; ასევე ახალგაზრდა პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა, კომპოზიტორმა და დირიჟორმა ნიკა მემანიშვილმა (ნიკოლოზ რაჭველი).

2011 წლიდან ფესტივალის მუდმივი სამხატვრო ხემძღვანელია მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფესტივალის პროგრამა.

2013 წელს ფესტივალის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს სამუსიკო ნაწარმოებების კრებული, რომელიც მისი უწმინდესობის დაბადების 80, მღვდელმთავრად კურთხევის 50 წლისთავს მიეძღვნა.

With the blessing of the Catholicos-Patriarch of All Georgia, the festival was founded in 2006. The International Charitable Foundation of the Catholicos-Patriarch of All Georgia and "Akaki Ramishvili Foundation – Tradition and Innovation" are the founders of the festival.

Tbilisi City Hall and "Telasi" JSC are the permanent partners of the annual festival.

In 2006-2010 years the artistic directors of the festival were such famous musicians as: Marina Iashvili, Liana Isakadze, Bidzina Kvernadze, Anzor Erkomaishvili, and also, the young pianist Valerian Shiukashvili and composer and conductor Nika Memanishvili (Nikoloz Rachveli).

Since 2011, the internationally recognized Georgian pianist Alexander Korsantia became a permanent Artistic Director of the festival and greatly enriched the festival's programme.

In 2013, to commemorate the 80th jubilee and the 50th anniversary of consecration to the Episcopate of His Holiness, on the initiative of the festival has been prepared and published a collection of musical compositions by the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქის ილია მეორეს სააღდგომო საჩუქარი ქართველი მუსიკის მოყვარულთათვის – ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე", რომელიც წელს უკვე მეცხრედ ტარდება, ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ნაწილად იქცა.

აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის კვირიდან მოყოლებული, ვიდრე ამაღლებამდე, ხელოვნების მოყვარულები მოუთმენლად ელიან ცნობილ ქართველ, თუ უცხოელ მუსიკოსებთან შეხვედრებს, რომელთა საშემსრულებლო ხელოვნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აღიარებული.

ფესტივალის მაღალ მხატვრულ დონეს განსაზღვრავს კონცერტების მდიდარი და მრავალფეროვანი პროგრამა, რასაც ყოველწლიურად განსხვავებული სახით გვთავაზობს მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, შესანიშნავი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია.

გვჯერა, რომ IX ფესტივალის საღამოები, წინა წლების მსგავსად, დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მსმენელს და სააღდგომო სიხარულს ამაღლების დღესასწაულამდე შეუნარჩუნებს, ხოლო ქვეყნის აკადემიური ხელოვნების განვითარებაში, თავის წვლილს შეიტანს.

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ფესტივალის ყველა პარტნიორსა და მხარდამჭერს თანადგომისა და დახმარებისთვის, ხოლო მსმენელს, კი – ერთგულებისთვის.

**ლაშა ჟვანია,**

*ფესტივალის საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე,*
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის*
*საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მთავარი მენეჯერი*

The Easter gift from His Holiness and Beatitude, the Patriarch of All Georgia Ilia II to all Georgian music lovers – the Festival "From Easter to Ascension", which became the part of our country's cultural life, this year is held for the 9th time.

Starting from the Holy and Great Week of Easter until the Feast of the Ascension, the music lovers are eagerly awaiting meetings with the famous Georgian and foreign musicians, whose performing art is widely recognized in many countries.

The rich and diverse concert programme, each year offered to us in a different way by its Artistic Director, a wonderful pianist Alexander Korsantia, defines the high artistic level of the festival.

We believe that the evenings of the 9th festival, as in previous years, will give the audience a great pleasure and extend the Easter joy up to the Ascension Day, as well as contribute to the development of the academic art of the country.

We would like to thank all partners and supporters of the festival, as well as the audience for their loyalty.

**Lasha Zhvania**

*Chairman of the Board of the Festival,*
*General Manager of the International Charitable Foundation*
*of the Catholicos-Patriarch of All Georgia*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელი ხსოვნა ფესტივალის მოამაგეებს
# BLESSED BE THE MEMORY OF THE FESTIVAL'S BENEFACTORS


1932-2012

მარინე იაშვილი, მევიოლინე
2010 წელს V ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

Marine Iashvili, violinist (1932-2012),
Artistic Director of the 5th Festival (2010)


1928-2010

ბიძინა კვერნაძე, კომპოზიტორი
2007 წელს II ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

Bidzina Kvernadze, composer
Artistic Director of the 2nd Festival (2007)


1928-2013

მანაბა მაგომედოვა, მხატვარი ოქრომჭედელი
ფესტივალის სპეციალური პრიზის ავტორი

Manaba Magomedova, gold-smith
Designer of the Festival's Special Prize

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფესტივალის ფოტოალბომი
# PHOTO GALLERY OF THE FESTIVAL




ზუგდიდი, VI ფესტივალი
Zugdidi, The 6th Festival




თბილისი, VII ფესტივალი
Tbilisi, The 7th Festival




თბილისი, III ფესტივალი
Tbilisi, The 3rd Festival




ახალციხე, V ფესტივალი
Akhaltsikhe, The 5th Festival



# ალექსანდრე კორსანტია

***ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

*„საშა არის ის პიანისტი, რომელიც შეიძლება იყოს უნაზესი, ამავე დროს შეუძლია ერთი წამის მეათედში აფეთქდეს, ისეთი ტალღა შექმნას, ძლიერი, ემოციური, ორ-სამ-ხუთ-ათ ფორტეზე, რომ... ის მფეთქავი შემსრულებელია...“*

***ლექსო თორაძე, გაზეთი „24 საათი“***

ალექსანდრე კორსანტია ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსია. იგი როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი თავად „ქმნის“ მუსიკას მისეული ხედვითა და შეგრძნებებით. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ არის გენიალური გია ყანჩელის გაკვირვებული, და ამასთან აღფრთოვანებული კომენტარი პიანისტის მიერ შესრულებულ „ტანგოზე“ – ჩემი დაწერილი მუსიკიდან აღარაფერი დატოვა, მე ასეთი მუსიკა არ შემიქმნიაო!..

სტილის შეგრძნება, ბრწყინვალე ვირტუოზულობა, საოცარი ენერგეტიკა, არტისტიზმი, ფერთა უშრეტი პალიტრა, მგრძნობელობა და რელიეფურობა, მოკრძალებულობა და მონუმენტურობა... ეს ყველაფერი მხოლოდ საშუალებებია დიდი ხელოვანისათვის მუსიკის უკვდავსაყოფად. პიანისტის შესრულებული ნაწარმოებები ყოველთვის ახლებურად ჟღერს, და შენ, როგორც მსმენელი მისი საოცარი არტისტიზმის წყალობით, თანამონაწილე ხდები ამ აბსტრაქტული, ჰაერში დაკარგული „წარმოდგენისა.“ დიახ, ალექსანდრე კორსანტია იმ პიანისტთა რიგებს განეკუთვნება, რომელთა არამარტო მოსმენა, არამედ ყურებაც აუცილებელია, რადგან, თანდაყოლილი არტისტიზმი მართლაც რომ მეტად ბუნებრივი ვიზუალური განცდის მონაწილედ ხდის მაყურებელს.

„ღრმა ბავშვობიდან ვგრძნობდი, რომ ჩემში მუსიკა თავისთავად არსებობდა“ – და პატარა ბიჭის გამორჩეული ტალანტი უყურადღებოდ არ დარჩენია მის დედას, კონსერვატორიის პროფესორ ქ-ნ სვეტლანა კორსანტიას, რომელმაც შვილის ნიჭს სათანადო განვითარება მისცა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ქართული საფორტეპიანო ხელოვნების კლასიკოსის – თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით 1989 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სრულიად ახლგაზრდამ სიდნეის (1988 წ.) და არტურ რუბინშტეინის (1995 წ.) სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა – „ის უბრალოდ დიდი კი არ არის, ძალიან დიდია... შესანიშნავი არტისტია“... – ასე წერდნენ ახალბედა შემსრულებელზე კონკურსის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია იმ საკონცერტო დარბაზების, ორკესტრებისა და მუსიკოსების ჩამონათვალი, რომლებთანაც პიანისტი თანამშრომლობს. იგი ყველგან, ყოველთვის და ყველასათვის სასურველი მუსიკოსია.

მართალია, 1992 წლიდან პიანისტი ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ბოსტონის „ახალი ინგლისური კონსერვატორიის“ საფორტეპიანო განყოფილების კათედრის პროფესორია, თუმცა სამშობლოსთან კავშირი არასდროს არ გაუწყვეტია. 2011 წლიდან იგი საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ სამხატვრო ხელმძღვანელია და მისი მრავალმხრივი შესაძლებლობები – პიანისტის, პედაგოგის და ხელმძღვანელის, ამ ფესტივალში საოცარი სიძლიერით წარმოჩინდა.

# ALEXANDER KORSANTIA

## Artistic Director of the Festival

*"Sasha - is a pianist who can be very gentle, but to explode in one tenth of a second and create a strong emotional wave, at two-three-five-ten forte that ... He's an explosive performer..."*

***Alexander (Lexo) Toradze, "24 Hours" newspaper, Tbilisi***

Alexander Korsantia is one of the greatest musicians of our time. He is a truly creative person and "creates" musicin accordance with his visions and emotions.

Precisely because of this, genial Gia Kancheli commented on performed by the pianist "Tango" with an amazed and at the same time delighted words – "He left nothing of my music, I have not created this kind of music! ..."

Sense of style, virtuosity, amazing energy, artistry, a huge palette, sensuality and relief, tenderness and monumentality... This are just the means to perpetuate the music for a great artist. Compositions performed by the musician always sound fresh and through his artistry the spectator becomes an accomplice of this abstract, dissolved in an air "performance". In fact, you need to not only listen but also to see the performance of the pianist, because Alexander Korsantia is one of those pianists whose innate artistry makes the audience a participant of the natural visual experience.

"Since childhood I felt that music exists within me", – and a special talent of the little boy did not go unnoticed by his mother, the Professor of the Tbilisi State Conservatoire Svetlana Korsantia, who gave the corresponding development to the talent of her son. In 1989 he graduated from the Tbilisi State Conservatoire under the guidance of the Georgian piano music classic Tengiz Amirejibi. Still quite young, he achieved a great victory at the International Piano Competition in Sydney (1988) and Arthur Rubinstein Competition (1995). "He's not just the great, but the greatest ... He is an amazing artist..." – so critics wrote about an aspiring musician after his winning the competition.

A list of the concert halls, orchestras and musicians with whom the pianist closely cooperates is too long. He is a desirable musician for everyone, anytime and everywhere.

Since 1992, the pianist resides in the United States, where he is the Professor at the piano department of Boston's "New England Conservatory". However, he never lost touch with his homeland. Since 2011 he is the Artistic Director of the International Festival "From Easter to Ascension", where he fully revealed his extraordinary abilities of the pianist, teacher and leader.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი
## კონსერვატორიის დიდი დარბაზი

### 25 აპრილი – სიმფონიური მუსიკის საღამო

**საქართველოს სახ. სიმფონიური ორკესტრი**
სოლისტი და დირიჟორი – **ილია კონოვალოვი**, ვიოლინო (ისრაელი)

*პროგრამა: ბეთჰოვენი, მენდელონი*

### 27 აპრილი – მერი დავითაშვილის ხსოვნის საღამო

**ეძღვნება კომპოზიტორის დაბადებიდან 90 წლისთავს**

მონაწილეობენ: **სალომე ჯიქია** – სოპრანო
**გივი დოლიძე** – ტენორი
**ვიქტორია ჩაპლინსკაია** – ფორტეპიანო
**ნათია ბერაია** – ფორტეპიანო
**გიორგი შავერზაშვილი** – ფორტეპიანო
**შორენა ცინცაბაძე** – ფორტეპიანო
**გიორგი თაგაური** – ვიოლინო
ქალთა ანსამბლი „**ბედიანი**“. ხელმძღ. – **თამარ გურაშვილი**

**საქართველოს სახ. სიმფონიური ორკესტრი**
დირიჟორი – **რევაზ ჯავახიშვილი**

*პროგრამა: მერი დავითაშვილის შემოქმედება*
*გიორგი შვერზაშვილი – „მიძღვნა“*

### 8,9,10 მაისი – კამერული მუსიკის საღამო

**იზაბელ ფაუსტი** – ვიოლინო (გერმანია)
**ალექსანდრე მელნიკოვი** – ფორტეპიანო (რუსეთი)

*პროგრამა – ბეთჰოვენი*

### 30 მაისი – ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „**საქართველოს სინფონიეტა**“

სოლისტები: **თამარ შალვაშვილი** – ფორტეპიანო
**თამარ მაჭავარიანი** – ჩელესტა
**ქეთევან შანიძე** – ფლეიტა
**ალექსანდრე კორსანტია** – ფორტეპიანო
დირიჟორი – **გოგი ჭიჭინაძე**

*პროგრამა: მოცარტი, ბრიტენი, კოპლენდი, ირ. ცინცაძე*

## ყვარელი

კულტურის სახლი

**4 მაისი**

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი **„საქართველოს სინფონიეტა“**

სოლისტი – **პაატა ბერიძე** – ფლუგელჰორნი

ქალთა ანსამბლი **„ბედიანი“**

*პროგრამა: მოცარტი, გრიგი,*
***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II***
***ქართული საგალობლები, ხალხური სიმღერები***

## ვანი

კულტურის ცენტრი

**22 მაისი**

## ბათუმი

მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზი

**23 მაისი**

ეძღვნება კომპოზიტორების **მერი დავითაშვილისა** და
**ოთარ თაქთაქიშვილის** ხსოვნას

მონაწილეობენ: **მარიამ ნაჭყებია** – სოპრანო
**ოთარ ჯორჯიკია** – ტენორი
**გიორგი გოდერძიშვილი** – ბანი
**ვიქტორია ჩაპლინსკაია** – ფორტეპიანო
**გიორგი შავერზაშვილი** – ფორტეპიანო
**თამარ ლიჩელი** – ფორტეპიანო
**ლელა მჭედლიძე** – ვიოლინო
საფორტეპიანო ტრიო **„სემპრე“**

*პროგრამა: ვერდი, პუჩინი, დვორჟაკი*
***მერი დავითაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი***
***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II***
***გიორგი შავერზაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

PROGRAMME პროგრამა

# TBILISI

## CONSERVATOIRE GRAND HALL

### APRIL 25 – AN EVENING OF SYMPHONY MUSIC

**Georgian State Symphony Orchestra**
Soloist and Conductor – **ILYA KONOVALOV**, violin (Israel)

*Programme:* ***Beethoven, Mendelssohn***

### APRIL 27 – THE MEMORIAL EVENING OF MERI DAVITASHVILI

**Dedicated to the 90th Anniversary of the Composer**

Performing: **SALOME DJIKIA** – soprano
**GIVI DOLIDZE** – tenor
**VICTORIA CHAPLINSKAYA** – piano
**NATIA BERAIA** – piano
**GIORGI SHAVERZASHVILI** – piano
**SHORENA TSINTSABADZE** – piano
**GIORGI TAGAURI** – violin
Female Ensemble **"BEDIANI"**, leader – **TAMAR GURASHVILI**
Georgian State Symphony Orchestra
Conductor – **REVAZ JAVAKHISHVILI**

*Programme:* ***The oeuvre of Meri Davitashvili***

***Giorgi Shaverzashvili – "Dedication"***

### MAY 8, 9, 10 – AN EVENING OF CHAMBER MUSIC

**ISABELLE FAUST** – violin (Germany)
**ALEXANDER MELNIKOV** – piano (Russia)

*Programme:* ***Beethoven***

### MAY 30 – THE FINAL CONCERT OF THE FESTIVAL

Tbilisi State Chamber Orchestra **"GEORGIAN SINFONIETTA"**
Soloists: **TAMARA SHALVASHVILI** – piano
**TAMAR MACHAVARIANI** – celeste
**KETEVAN SHANIDZE** – flute
**ALEXANDER KORSANTIA** – piano

Conductor – **GEORGE CHICHINADZE**

*Programme:* ***Mozart, Britten, Copland, Ir. Tsintsadze***

ეროვნული ბიბლიოთეკა



## KVARELI

### THE CULTURE HALL

**MAY 4**

Tbilisi State Chamber Orchestra **"GEORGIAN SINFONIETTA"**

Soloist: **PAATA BERIDZE** – flugelhorn

Female Ensemble **"BEDIANI"**

*Programme:* ***Mozart, Grieg,***
***The Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II***
***Georgian chants, folk songs***

## VANI

### THE CULTURE CENTER

**MAY 21**

## BATUMI

### CONCERT HALL OF THE MUSIC CENTER

**MAY 22**

**In memory of the composers Meri Davitashvili and Otar Taktakishvili**

**MARIAM NACHKEBIA** – soprano
**OTAR JORJIKIA** – tenor
**GIORGI GODERDZISHVILI** – bass
**VICTORIA CHAPLINSKAYA** – piano
**GIORGI SHAVERZASHVILI** – piano
**TAMAR LICHELI**– piano
**LELA MCHEDLIDZE** – violin
Piano Trio **"SEMPRE"**

*Programme:* ***Verdi, Puccini, Dvorak***
***Meri Davitashvili, Otar Taktakishvili***
***The Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II***
***Giorgi Shaverzashvili***

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძველი თბილისი

OLD TBILISI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფესტივალის მუდმივი პარტნიორი
## PERMANENT PARTNER OF THE FESTIVAL

## თბილისი
## მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი

## TBILISI
## CITY HALL CENTER FOR CULTURAL EVENTS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IX ფესტივალის მონაწილეები
# PARTICIPANTS OF THE 9th FESTIVAL


| | გვ./page | |
|---|---|---|
| ალექსანდრე კორსანტია | 8 | **ALEXANDER KORSANTIA** |
| იზაბელ ფაუსტი – ვიოლინო | 18 | **ISABELLE FAUST** – violin |
| ალექსანდრ მელნიკოვი – ფორტეპიანო | 20 | **ALEXANDER MELNIKOV** – piano |
| ილია კონოვალოვი – ვიოლინო | 24 | **ILYA KONOVALOV** – violin |
| შორენა ცინცაბაძე – ფორტეპიანო | 32 | **SHORENA TSINSTABADZE** – piano |
| სალომე ჯიქია – სოპრანო | 30 | **SALOME JIKIA** – soprano |
| ვიქტორია ჩაპლინსკაია – ფორტეპიანო | 50 | **VIKTORIA CHAPLINSKAYA** – piano |
| გივი დოლიძე – ტენორი | 33 | **GIVI DOLIDZE** – tenor |
| ნათია ბერაია – ფორტეპიანო | 30 | **NATIA BERAIA** – piano |
| ქეთევან თავშავაძე – ვიოლინო | 31 | **KETEVAN TAVSHAVADZE** – violin |
| გიორგი შავერზაშვილი – კომპოზიტორი | 31 | **GIORGI SHAVERZASHVILI** – piano |
| გიორგი თაგაური – ვიოლინო | 32 | **GIORGI TAGAURI** – violin |
| თამარ შალვაშვილი – ფორტეპიანო | 39 | **TAMAR SHALVASHVILI** – piano |
| თამარ მაჭავარიანი – ჩელესტა | 40 | **TAMAR MACHAVARIANI** – celeste |
| ქეთევან შანიძე – ფლეიტა | 40 | **KETEVAN SHANIDZE** – flute |
| ოთარ ჯორჯიკია – ტენორი | 51 | **OTAR JORJIKIA** – tenor |
| მარიამ ნაჭყებია – სოპრანო | 52 | **MARIAM NACHKEBIA** – soprano |
| გიორგი გოდერძიშვილი – ბანი | 52 | **GIORGI GODERDZISHVILI** – basso |
| პაატა ბერიძე – საყვირი | 46 | **PAATA BERIDZE** – trumpet |
| თბილისის სახ კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ | 42 | **TBILISI STATE CHAMBER ORCHESTRA “GEORGIAN SINFONIETA”** |
| გოგი ჩიჩინაძე – დირიჟორი | 41 | **GIORGI CHICHINADZE** – conductor |
| საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი | 26 | **GEORGIAN STATE SYMPHONY ORCHESTRA** |
| რევაზ ჯავახიშვილი – დირიჟორი | 34 | **REVAZ JAVAKHISHVILI** – conductor |
| საფორტეპიანო ტრიო „სემპრე“ | 53 | **PIANO TRIO “SEMPRE”** |
| ქალთა ანსამბლი „ბედიანი“ | 33 | **FEMALE ENSEMBLE “BEDIANI”** |




ეროვნული ბიბლიოთეკა




***GUESTS OF HONOR OF THE FESTIVAL***

## ფესტივალის საპატიო სტუმრები

ᲘᲖᲐᲑᲔᲚ ᲤᲐᲣᲡᲢᲘ ვიოლინო (გერმანია)

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ ფორტეპიანო (რუსეთი)

ბრწყინვალე სოლო საშემსრულებლო კარიერასთან ერთად, მევიოლინე იზაბელ ფაუსტისა და პიანისტ ალექსანდრე მელნიკოვის შემოქმედებითი ტანდემი ძალზედ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მათი რეპერტუარი ყოველთვის მრავალფეროვანი და საინტერესოა. დუეტს დიდი წარმატება მოუტანა უმსხვილეს ფირმა "Harmonia Mundi Arose"-სთან თანამშრომლობამ. მრავალი ნაწარმოები ჩაწერეს ამ სტუდიაში. თუმცა, ყველაზე დიდი გამოხმაურება მოყვა ბეთჰოვენის ათივე სონატას ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ეს დისკი წარდგენილი იყო გრემის დაჯილდოვებაზე და მოპოვებული აქვს „გრამოფონის", ასევე "ECHO Klassik"-ის (გერმანია) ჯილდოები.

წლევანდელ ფესტივალზე ფაუსტისა და მელნიკოსვის დუეტის მიერ აჟღერდება ბეთჰოვენის ყველა, ათივე სავიოლინო სონატა და ქართველ მსმენელს საშუალება მიეცემა თავად მოისმინოს აღნიშნული ნაწარმოებების „შესრულების ეტალონად" მიჩნეული ინტერპრეტაცია.

* * *

Besides the excellent solo career, the artistic partnership of pianist Alexander Melnikov and violinist Isabelle Faust proved to be very fruitful. Their repertoire is multifarious and interesting. The cooperation with major record label "Harmonia Mundi Arose" brought a great success to the duet. They have recorded many works under this label, but the complete recording of Beethoven sonatas for piano and violin had the greatest success. The recording was nominated for the "Grammy" and received the "ECHO Klassik Award" (Germany).

Beethoven sonatas will be performed as part of our Festival's programme and Georgian audience will be able to get acquainted with perceived as the "standard interpretation" of these works.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იზაბელ ფაუსტმა ვიოლინოზე დაკვრა ადრეული ასაკიდან დაიწყო. სრულიად-პატარამ, 11 წლისამ უკვე სიმებიანი კვარტეტი დააარსა. ანსამბლში მიღებულმა გამოცდილებამ დაარწმუნდა, რომ საშესრულებლო ხელოვნებაში ერთდროულად ხდება როგორც გაცემის, ასევე მიღების პროცესი, სადაც მსმენელი ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოხატვა.

1987 წელს, 15 წლისამ, ლეოპოლდ მოცარტის კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა, რამაც გოგონას სოლო კარიერის პერსპექტივა გაუხსნა. თუმცა, კამერულ ანსამბლს კვლავაც პრიორირეტს ანიჭებდა. სონატებისა თუ კონცერტების შესრულების დროს, ფაუსტი მუდმივად მუსიკალური იდეების ძიების პროცესში იყო.

1993 წელს პაგანინის კონკურსზე გამარჯვების შემდგომ საფრანგეთში დასახლდა, სადაც დიდი ინტერესი გაუჩნდა ფრანგული მუსიკის მიმართ (ფორე, დებიუსი).

2003 წელს, ფაუსტმა გამოსცა ალბომი დვორჟაკის სავიოლინო კონცერტით, რასაც დღემდე მის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამას მოყვა ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის შესანიშნავი ჩანაწერი. მას შესრულებული აქვს ბეთჰოვენის ყველა სავიოლინო სონატა, რამაც კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

იზაბელ ფაუსტი დიდი ინტერესით ეკიდება ასევე თანამედროვე მუსიკას. აღსანიშნავია, რომ ის არის ცნობილი კომპოზიტორების (ოლივიე მესიანი, ვერნერ ეგკი, იორგ უიდმანი) ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი. ასევე მისთვის სპეციალურად არის შექმნილი ნაწარმოებები კომპოზიტორების თ. ლარხერის, მ. ჟარელის, ა. ჟოლივეს მიერ.

მუსიკოსს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს ცნობილ დირიჟორებთან და ორკესტრებთან. მათ შორისაა: კლაუდიო აბადო, ჩარლზ დიუტუა, დანიელ ჰარდინგი, მარის იანსონი; ბერლინის ფილარმონიული, მიუნხენის ფილარმონიული, პარიზის, ბოსტონის სიმფონიური ორკესტრები, BBC-ს ორკესტრი, მალერის კამერული ორკესტრი. ეს მცირედი ჩამონათვალია ბოლო წლებში მუსიკალური კოლექტივებთან მისი ნაყოფიერი თანამშრომლობისა.

იზაბელ ფაუსტი უკრავს სტრადივარის მიერ 1704 წლის შექმნილ „მძინარე მზეთუნახავზე“ რომელიც მას დროებით სარგებლობაში გადასცა გერმანიის „L-Bank Baden-Württemberg“-მა.

## ᲘᲖᲐᲑᲔᲚ ᲤᲐᲣᲡᲢᲘ **ვიოლინო (გერმანია)**

*„მისი შესრულება სავსეა ვნებითა და ფეთქებადობით. ამავდროულად სითბოთი და სინაზითაა გაჯერებული, რაც ხელს უწყობს ნაწარმოებში დაფარული ლირიზმის გამოვლენას...“*

*გაზეთი* ***„ნიუ იორკ თაიმს“***

## ISABELLE FAUST **violin (Germany)**

*“Her sound has the passion, grit and electricity, but also a disarming warmth and sweetness that can unveil the music’s hidden strains of lyricism ...”*

***New York Times***

Having founded a string quartet when just eleven, her early chamber music experiences imbued in her a fundamental belief that performing is a process of giving and taking, in which listening is just as important as expressing your own personality.

Victory at the 1987 Leopold Mozart Competition, when she was just 15, brought with it the prospect of a solo career. However, the guiding principles instilled in her as a chamber musician remained strong. Whether performing sonatas or concertos, Faust constantly sought dialogue and the exchange of musical ideas.

After winning the 1993 Paganini Competition, she moved to France, where she grew to love the French repertoire, particularly the music of Fauré and Debussy.

In 2003, Faust released recording of the Dvorák Violin Concerto. The work has remained a mainstay of her repertoire. Following release of the Beethoven Violin Concerto was also successful. She performed all the Beethoven sonatas and earned critical acclaim.

Isabelle Faust is a sought-after performer of contemporary music. The list of composers whose works she has premiered extends from Olivier Messiaen to Werner Egk and JörgWidmann. She also premiered works dedicated to her by composers Thomas Larcher, Michael Jarrelland André Jolivet.

Here are a few examples of the musician’s fruitful partnerships with famous conductors and orchestras that have emerged in recent years: Claudio Abbado, Charles Dutoit, Daniel Harding, Heinz Holliger, Mariss Jansons, the Berlin Philharmonic, the Munich Philharmonic, the Orchestre de Paris, the Boston Symphony Orchestra, the BBC Orchestra and the Mahler Chamber Orchestra.

Isabelle Faust performs on the 1704 “Sleeping Beauty” Stradivarius on loan to her from Germany’s L-Bank Baden-Württemberg.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მქონე ოჯახში დაბადებული ალექსანდრე მელნიკოვის მუსიკალურ აღზრდას თვალყურს ადევნებდა ოჯახის დიდი მეგობარი – გენიალური სვიატოსლავ რიხტერი, რომელმაც ზემოთ მოყვანილი სიტყვები 20 წლის ახალგაზრდა შემსრულებელზე წარმოსთქვა. კომპოზიტორების ზარა ლევინასა და ნიკოლაი ჩემბერჯის შვილიშვილმა უკვე 12 წლის ასაკში დარწმუნებით იცოდა, რომ გამოჩენილი პიანისტი გამოვიდოდა.

მოსკოვის ცენტრალური მუსიკალური ათწლედის შემდეგ მან წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ ა. ნაუმოვთან, ხოლო, სტაჟირება გაიარა მიუნხენის უმაღლეს სკოლაში პროფ. ე. ვირსალაძის ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მოიპოვა ლაურეატობა შუმანის (ცვიკაუ, 1989წ.), დედოფალ ელისაბედისა (ბრიუსელი, 1990წ.) და იუნესკოს (ბრატისლავა, 1991წ.) საერთაშორისო კონკურსებზე.

თანამედროვე კრიტიკოსები ალექსანდრე მელნიკოვს XXI საუკუნის ერთ-ერთ უნიჭიერეს პიანისტად მიიჩნევენ. ავტორიტეტული ევროპული გამოცემების რეცენზენტები მას შემდეგი ეპითეტებით მოიხსენიებენ: „უზარმაზარი მასშტაბების მქონე შემსრულებელი“; „ვირტუოზი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, ბრწყინვალე ტექნიკითა და ინსტრუმენტის აბსოლუტური ფლობით“.

2000-2002 წლებში BBC-ის კორპორაციამ მას „ახალგაზრდა თაობის არტისტის“ ტიტული მიანიჭა.

ალექსანდრე მელნიკოვი ცნობილია თავისი უჩვეულო პროგრამული გადაწყვეტილებებით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ძველებური საკრავებისა და ჟანრებისადმი. ამ მხრივ მასზე დიდი გავლენა იქონიეს ალექსეი ლიუბიმოვმა და ანდრეას შტაინერმა. ამ უკანასკნელთან ერთად ძალზედ საინტერესო პროგრამა შეიმუშავა, სადაც მონაცვლეობით, დიალოგის ფორმით ასრულებენ ი.ს.ბახის (ა.შტაინერი – კლავესინი) და დ. შოსტაკოვიჩის (ა. მელნიკოვი – ფორტეპიანო) პრელუდიებსა და ფუგებს. გარდა ამისა იგი პერმანენტულად თანამშრომლობს ბერლინის „ძველებური მუსიკის აკადემიასთან“ და კოლნის ანსამბლ „კონჩერტოსთან“.

ალექსანდრე მელნიკოვის მიერ შესრულებული შოსტაკოვიჩის 24 პრელუდიისა და ფუგის ჩანაწერი “Choc de Classica”-სა და“Jahrespreis der Deutschen Schallplattenkritik” ჯილდოს მფლობელი გახდა. BBC-ის მუსიკალურმა გამოცემამ ეს დისკი ჯილდოს გარდა „ყველა დროის 50 საუკეთესო ჩანაწერთა“ შორის აღიარა ( 2011 წ.).

პიანისტი ადრეული ასაკიდან ეწევა აქტიურ სოლო საკონცერტო და საანსამბლო მოღვაწეობას. გამოდის რუსეთის, ევროპის, აზიისა და ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში.

1993 წლიდან არის სვიატოსლავ რიხტერის მიერ დაფუძნებილი ფესტივალ „დეკემბრის ღამეების“ მუდმივი მონაწილე (რუსეთი, საფრანგეთი). პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას მანჩესტერის სამეფო მუსიკალურ კოლეჯში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე მელნიკოვი ფორტეპიანო (რუსეთი)

*„ვფიქრობ, რომ ის ნამდვილი ტალანტია და თანაც მასშტაბური“*

**სვიატოსლავ რიხტერი** *(პირადი დღიური)*

# ALEXANDER MELNIKOV **piano (Russia)**

*"I think he's a real talent, great talent."* ***Svjatoslav Richter*** *(personal diary)*

Alexander Melnikov was born in a family with a rich musical traditions. A close friend of the family, genial Svjatoslav Richter, followed his musical education. He wrote the words quoted above, about a 20 years old musician. Grandson of the composers Zara Levina and Nikolai Chemberdji already in 12 years age knew that he would be a great performer.

After the Moscow Music School, Alexander Melnikov graduated from the P. Tchaikovsky Moscow Conservatory under Professor Lev Naumov. He also trained under Professor ElisoVirsaladze at Munich High School. Still quite young, he was awarded important prizes at such eminent competitions as the International Robert Schumann Competition in Zwickau (1989) and the Concours Musical Reine Elisabeth in Brussels (1990) and UNESCO International Competition in Bratislava (1991).

Modern critics call Melnikov one of the most talented young pianists of the 21st century. Reviewers of the authoritative European publications expressed about Melnikov following epithets: "Artist with immense talent", "a virtuoso in the true sense of the word, with excellent performance technique and full possession of the instrument". In 2000-2002 he was named by the BBC Corporation as the "Artist of the Young Generation."

Known for his often-unusual musical and programmatic decisions, Alexander Melnikov discovered a career-long interest in historical performance practice at an early age. His major influences in this field include Andreas Staier and Alexei Lubimov. Together with Andreas Staier, Alexander Melnikov developed a program that sets excerpts from Bach's Well-Tempered Clavier (Andreas Staier – harpsichord) in musical dialogue with Shostakovich's 24 Preludes and Fugues (Alexander Melnikov – piano). Melnikov performs regularly with such ensembles as Concerto Köln and the Akademie für Alte Musik Berlin.

Alexander Melnikov's recording of the complete preludes and fugues by Shostakovich was awarded the BBC Music Magazine Award, "Choc de Classica and the Jahrespreis der Deutschen Schallplattenkritik". In 2011, it was also named by the BBC Music Magazine as one of the "50 Greatest Recordings of All Time."

Pianist from an early age has an active solo and orchestral concert activity. He performs in the most prestigious concert halls in Russia, Europe, Asia and America.

Since 1993 he is a regular participant of the festival "December Nights" established by Svjatoslav Richter (Russia, France). In parallel, he teaches at the Royal Manchester College of Music.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თელასი
TELASI

საპატიო სპონსორი
HONORABLE SPONSOR

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმფონიური მუსიკის საღამო

# AN EVENING OF SYMPHONY MUSIC

**საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი**

სოლისტი და დირიჟორი – **ილია კონოვალოვი**, ვიოლინო (ისრაელი)

**Georgian State Symphony Orchestra**

Soloist and Conductor – **ILYA KONOVALOV**, violin (Israel)

## *პროგრამა:* *Programme:*

I

**ბეთჰოვენი** – სიმფონია №2, რე მაჟორი, თხზ.36,

**Beethoven** – Symphony No.2 in D major, Op.36

*1. Adagio molto – Allegro con brio*

*2. Larghetto*

*3. Scherzo. Allegro*

*4 .Allegro molto*

II

**მენდელსონი** – კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის მი მინორი, თხზ. 64

Mendelssohn – Concert for violin and orchestra in E minor, Op.64

*1. Allegro molto appassionato*

*2. Andante*

*3. Allegro non troppo – Allegro molto viv*

PROGRAMME პროგრამა

კონცერტის პარტნიორი

PARTNER OF THE CONCERT

მიქელაძის ცენტრი

MIKELADZE CENTER

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიბადა 1977 წელს ქ. ნოვოსიბირსკში მუსიკოსების ოჯახში. ვიოლინოზე დაკვრა შვიდი წლის ასაკში დაიწყო პროფ. ზახარ ბარონისა და ალექსეი გვოზდევის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში გახდა სრულიად-რუსეთის და ვენიავსკის საერთაშორისო სავიოლინო კონკურსების პრიზიორი. მოგვიანებით სწავლა ვენის მუსიკის აკადემიაში პროფ. დორა შვანბერგის ხელმძღვანელობით განაგრძო.

ილიამ გასტროლებით მოიარა მთელი რუსეთი, ევროპა და ბრაზილია, ინდონეზია, კორეა და იაპონია. თანამშრომლობს ისეთ პრესტიჟულ ორკესტრებთან, როგორიცაა: მოსკოვის ვირტუოზები, ნიდერლანდების რადიოს კამერული ორკესტრი, ისრაელის სინფონიეტა Beer-Sheva, მოსკოვის კამერული ორკესტრი „მუსიკა ვივა", სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო კაპელის სიმფონიური ორკესტრი, მოსკოვის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ციურიხის კამერული ორკესტრი, ნოვოსიბირსკის ფილარმონიული ორკესტრი, ამერიკულ-რუსული სიმფონიური ორკესტრი და ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი; ცნობილ დირიჟორებთან: ვლადიმირ სპივაკოვი, ჰიუ ვოლფი, ზუბინ მეტა და იოელ ლევი. კამერულ მუსიკას გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად ასრულებს, მათ შორისაა ალექსანდრე რუდინი, იური ბაშმეტი, რუდოლფ ბუჰბინდერი, ლინ ჰარელი, არკადი ზენზიპერი, დორა შვარცბერგი, სტივენ ისერლისი, მიშა მაისკი და სხვ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ილია მონაწილეობდა ისეთ პრესტიჟულ ფესტივალებში, როგორიცაა: Young Artists in Concert, დავოსის (შვეიცარია), Schubertiaden, Haifa Music Festival და Dreiklang (გერმანია).

მუსიკოსს გამოცემული აქვს 2 კომპაქტ დისკი (Melodiya label) რუსეთში, ასევე ბრამსის სავიოლინო კონცერტი ნოვოსიბირსკის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად არნოლდ კაცის დირიჟორობით.

1997 წლიდან არის ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტმაისტერი, რომელსაც ზუბინ მეტა ხელმძღვანელობს. ამავდროულად ილია კონოვალოვი არის ისრაელის ფილარმონიული სიმებიანი კვარტეტის პირველი ვიოლინო, რომელიც 2006 წელს მაესტრო მეტას ინიციატივით დაარსდა და მას რიხტერის ოჯახი მფარველობს.

2006 წლიდან კონოვალოვი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თელ ავივის უნივერსიტეტის ბუჰმან-მეტას სამუსიკო სკოლაში, სადაც ასწავლის ვიოლინოსა და კამერულ ანსამბლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია კონოვალოვი

**ვიოლინო (ისრაელი)**

# ILYA KONOVALOV

**violin (Israel)**

Ilya Konovalov was born in a musical family in Novosibirsk (USSR) in 1977. At the age of 7 he commenced his studies with Prof. Zakhar Bron and later with Prof. Alexey Gvozdev in Novosibirsk. During this time, he became a prize winner of the All-Russian and Wieniawski International Violin Competition. Later, he studied with Prof. Dora Schwarzberg at the Vienna Academy of Music.

Ilya has perfomed all over the Russia and Europe, and also in a Brazil, Indonesia, Korea and Japan. He has appeared with prestigious orchestras such as the "Moscow Virtuosos", the Netherlands Radio Chamber Orchestra, the Israel Sinfonieta Beer-Sheva, the Moscow Chamber Orchestra "Musica Viva", the Saint Petersburg State Capella Symphony Orchestra, the Moscow State Symphony, the Zurich Chamber Orchestra, the Novosibirsk Philharmonic Orchestra, the American-Russian Symphony Orchestra and the Israel Philharmonic Orchestra under the baton of conductors such as Vladimir Spivakov, Hugh Wolf, Zubin Mehta and Yoel Levi. He played chamber music with many prominent artists, among them are Alexnder Rudin, Yuri Bashmet, Rudolf Buchbinder, Lynn Harell, Arkady Zenziper, Dora Schwarzberg, Steven Isserlis, Misha Maisky etc.

Over the past 10 years he has been participating in many prestigious festivals, such as: "Young Artists in Concert", Festival in Davos Switzerland, "Schubertiaden" Music Festival in Germany, Haifa Music Festival and "Dreiklang" Festival in Gemany.

Ilya Konovalov has recorded two CD's for Melodiya label in Russia and the Brahms Violin Concerto with the Novosibirsk Philharmonic Orchestra under Arnold Katz.

Since 1997 he is the Concertmaster of the Israel Philharmonic Orchestra under leadership of Zubin Mehta. Ilya Konovalov is the 1st violinist of the Israel Philharmonic String Quartet which was found in 2006 by the request of Maestro Mehta and is supported by the Richter family.

Since 2006 Ilya Konovalov is teaching violin and chamber music at the Buchmann-Mehta School of Music at the Tel Aviv University.

# საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი

## GEORGIAN PHILHARMONIC ORCHESTRA

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შექმნის ისტორია ოფიციალურად 1925 წლით თარიღდება. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ: ი. ფალიაშვილი, ლეგენდარული ე. მიქელაძე, გ. კილაძე, შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, ჯ. გოკიელი, ზ. ხუროძე, ჯ. კახიძე, ვ. მაჭავარიანი და სხვ.

ორკესტრი ყველა ეროვნული სიმფონიური ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. მის რეპერტუარშია მსოფლიო სიმფონიური და საოპერო მუსიკის შედევრები. ორკესტრის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე უცხოელ კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოების ქართული პრემიერაც.

მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი, ბერლინის Philharmonic, ამსტერდამის Concertgebouw, ათენისა და ფრანკფურტის საკონცერტო დარბაზები, პარიზის Les Invalids, Pierre Cardin Center, UNESCO Hall da Salle Pleyel, პეტერბურგის დიმიტრი შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონია... ეს არის იმ წამყვანი საკონცერტო დარბაზების არასრული ჩამონათვალი, სადაც კოლექტივს წარმატებული გამოსვლები ჰქონდა. ორკესტრთან თანამშრომლობდნენ მოფლიოში აღიარებული კომპოზიტორები, დირიჟორები, მუსიკოს-შემსრულებლები.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკეტრს 1971 წელს მიენიჭა დამსახურებული ორკესტრის წოდება, ხოლო, ევგენი მიქელაძის სახელს 1994 წელიდან ატარებს.

აღსანიშნავია, რომ უკვე 9 წელია რაც სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო სტატუსის მქონე სხვა მუსიკალურ კოლექტივებთან ერთად (საგუნდო კაპელა, კამერული ორკესტრი, სიმებიანი კვარტეტი), საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაერთიანდა, რომელსაც ნიკოლოზ რაჭველი ხელმძღვანელობს.

2013 წლიდან სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ორკესტრში მოღვაწე ნიჭიერ მუსიკოსთა ახალგაზრდა თაობა შემოუერთდა, ხოლო დეკემბერში მთავარ დირიჟორად არჩეულ იქნა ნიკოლოზ რაჭველი.

Officially, the Georgian State Symphony Orchestra was established in 1925. At various times, the orchestra was led by Ivane Paliashvili, legendary Evgeni Mikeladze, Grigol Kiladze, Shalva Azmaiparashvili, Odissey Dimitriadi, Jemal Gokieli, Zakaria Khurodze, Jansugh Kakhidze, Vakhtang Matchavariani and other famous conductors.

The Orchestra is the first performer practically of all works of national symphonic music. The orchestra's repertoire includes numerous world masterpieces of symphonic and operatic music. The Orchestra's name is associated with Georgian premieres of works by famous foreign composers.

The Moscow Conservatoire Grand Hall, Berlin Philharmonic Concert Hall, Amsterdam Concertgebouw, Athens and Frankfurt Concert Halls, Paris Les Invalids, Pierre Cardin Center, UNESCO Hall & Salle Pleyel, St. Petersburg Shostakovich Philharmonic Hall… This is a partial list of the major concert halls where the staff of the orchestra had successful performances. At various times, the Orchestra collaborated with many famous composers, conductors, soloists.

In 1971, the Georgian State Symphony Orchestra was awarded the title of Honored Orchestra, and in 1994, it was named in honor of Evgeni Mikeladze. It should be noted that in 2005, the Georgian State Symphony Orchestra, together with the State Choir, the State Chamber Orchestra and the State String Quartet, were merged into the newly established Georgian National Music Centre. 25 years old composer Nikoloz Rachveli was appointed the Artistic Director of the Orchestra.

Since 2013 the young talented musicians of the new generation, successfully perform in various Georgian and foreign orchestras and joined the State Symphony Orchestra. In December 2013, Maestro Nikoloz Rachveli was elected the Principal Conductor of Georgian Philharmonic Orchestra.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მერი დავითაშვილის ხსოვნის საღამო
## THE MEMORIAL EVENING OF MERI DAVITASHVILI

***ეძღვნება კომპოზიტორის დაბადებიდან 90 წლისთავს***
***Dedicated to the 90th Anniversary of the Composer***

მონაწილეობენ: **სალომე ჯიქია** – სოპრანო
**ვიქტორია ჩაპლინსკაია** – ფორტეპიანო
**ნათია ბერაია** – ფორტეპიანო
**გიორგი შავერზაშვილი** – ფორტეპიანო (კომპოზიტორი)
**შორენა ცინცაბაძე** – ფორტეპიანო
**გიორგი თაგაური** – ვიოლინო
**გივი დოლიძე** – ტენორი, კონცერტის საპატიო სტუმარი, კომპოზიტორის შვილიშვილი
ქალთა ანსამბლი „**ბედიანი**“, ხელმძღ. – **თამარ გურაშვილი**

საქართველოს სახ. სიმფონიური ორკესტრი
დირიჟორი – **რევაზ ჯავახიშვილი**

***პროგრამა:*** *მერი დავითაშვილის შემოქმედება*
*გიორგი შავერზაშვილი – „მიძღვნა“*

Performing: **SALOME DJIKIA** – soprano
**VICTORIA CHAPLINSKAYA** – piano
**NATIA BERAIA** – piano
**GIORGI SHAVERZASHVILI** – piano (composer)
**SHORENA TSINTSABADZE** – piano
**GIORGI TAGAURI** – violin
**GIVI DOLIDZE** – tenor, the honorary guest of the concert, a grandson of the composer
Female Ensemble "**BEDIANI**", leader – **TAMAR GURASHVILI**

Georgian State Symphony Orchestra
Conductor – **REVAZ JAVAKHISHVILI**

***Programme:*** *The oeuvre of Meri Davitashvili*
*Giorgi Shaverzashvili – "Dedication"*

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



მერი (მარიამ) დავითაშვილი

MERI (MARIAM) DAVITASHVILI

1924 – 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერი (მარიამ) დავითაშვილი კომპოზიტორი

*„ბავშვებთან ურთიერთობა ყოველთვის მიყვარდა. ეს ძალიან საინტერესოა! ვცდილობ, მათ არამარტო მუსიკა ვასწავლო"...*

და მართლაც, მერი დავითაშვილმა თავისი უკვდავი ჰანგებით დიდი სიყვარული ასწავლა პატარებს. ვინ მოთვლის რამდენი ბავშვი აღიზარდა მის მუსიკაზე?! „მთავარი ბავშვებია. საგანგებოდ არ ვაპირებდი საბავშვო კომპოზიტორი გამოვსულიყავი". პატარების წრფელი გულით სიყვარულის მოპოვება ხომ საკმაოდ რთულია – ეს კი მერი დავითაშვილმა შეძლო და საბავშვო კომპოზიტორის სტატუსიც სამართლიანად დაიმსახურა.

იგი დაიბადა 1924 წელს ქალაქ თბილისში. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი პატარა გოგონაში პირველმა ზაქარია ფალიაშვილმა აღმოაჩინა. კონსერვატორია ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით დაამთავრა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად ქალბატონი მერი აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1968–1992 წწ.) და სსრკ კომპოზიტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდებოდა საბავშვო მუსიკის კვირეულები. 1973 წლიდან თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი იყო.

მერი დავითაშვილის შემოქმედება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს მოიცავს. მას ეკუთვნის 2 საბავშვო ოპერა; მრავალი საბავშვო სიმღერა; მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი და ნახატი ფილმებისათვის; 2 საორკესტრო სიუიტა; სიმფონიური, კამერულ-საკრავიერი და საგუნდო ნაწარმოებები; მუსიკა დრამატული სპექტაკლებისთვის; ხუთი რომანსი ანა კალანდაძის ლექსებზე...

მინიჭებული ქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.

2010 წელს V საერთასორისო ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე" გაიმართა მერი დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელიც კომპოზიტორის 85 წლისთავს მიეძღვა.

## MERI (MARIAM) DAVITASHVILI composer

*"I've always loved to communicate with children. It is very interesting! I try to teach them not just the music..."*

Indeed, Meri Davitashvili with her immortal melodies taught children a lot of love. Who can count how many children grew up on her music?! "Child is most important. I did not intend to become a children's songwriter." It is not easy to attain a genuine love from children, but Meri Davitashvili was able to do that and deservedly won the status of children's composer.

She was born in 1924 in Tbilisi. Zacharia Paliashvili was the first who discovered her special musical talent. She graduated from the conservatoire where she studied under Andria Balanchivadze.

In parallel of her creative work, Meri Davitashvili was actively engaged in pedagogical and social activities. She was a secretary of the Union of Composers of Georgia (1968-1992) and member of the Revision Committee at the Union of Soviet Composers. On her initiative, were annually held the "Weeks of Children's Music." Since 1973, she was a teacher at the Tbilisi State Conservatoire.

Meri Davitashvili has works of different musical genres. Among them, it should be noted two operas for children, many songs for children, music for children's full-length and animated films, two orchestral suites, symphonic, chamber and choral works, music for dramatic productions, five romances based on the poems by Anna Kalandadze...

She is the People's Artist of Georgia, the laureate of the Shota Rustaveli State Prize and the chevalier of the Order of Honor.

In 2010, the 5$^{th}$ International Festival "From Easter to Ascension" hosted a recital dedicated to the 85$^{th}$ anniversary of the composer.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სალომე ჯიქია სოპრანო

## SALOME JIKIA soprano

სალომე ჯიქიას დებიუტი შედგა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, სადაც შეასრულა ასპასიას არია მოცარტის ოპერიდან "Mitridate, Re di Ponto". შემდეგ ახალგაზრდა მომღერალს საინტერესო გამოსვლები ქონდა იტალიასა (კრემონა, პავია) და გერმანიაში (ბერლინი, პოტსდამი). 2011 წელს მონაწილეობდა ქ. ბათუმში საერთაშორისო ფესტივალზე „ღამის სერენადები". ამავე წელს გამართულ სოლო კონცერტზე მან საქართველოში პირველად შეასრულა მესიანის ციკლი "Harawi". 2012 წელს მის მიერ ასევე პირველად შესრულდა შონბერგის ნაწარმოები. ამავე წელს ლადო ათანელის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრიზით დაჯილდოვდა. მას ასევე მიღებული აქვს პრიზები საერთაშორისო ფესტივალებზე თურქეთსა და სომხეთში.

ამჟამად სალომე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია.

The debut of Salome Djikia took place on the stage of the Tbilisi State Opera Theatre, where she sang an aria of Aspasia from Mozart's "Mitridate, RediPonto". Later, the young singer had an interesting performances in Italy (Cremona, Pavia) and Germany (Berlin, Potsdam). In 2011 she performed at the International Festival "Night Serenades" in the City of Batumi. In the same year, she sang for the first time the cycle of Messiaen's "Harawi" at her recital in Georgia. In 2012, she performed also for the first time the composition of Schoenberg. In the same year, she became the First Prize owner at the International Competition of Lado Ataneli. She is a prizewinner of the international festivals in Turkey and Armenia. Currently, Salome is the soloist of the Tbilisi State Opera and Ballet Theatre.

## ნათია ბერაია ფორტეპიანო

## NATIA BERAIA piano

დაამთავრა თბილისში „ნიჭიერთა ათწლედი" (პედ. დ. ცინცაძე), შემდეგ – სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. ნ. ხუბუტია). ბავშვობიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით. მისი გამოსვლები, როგორც სოლო, ასევე საფორტეპიანო დუეტში დასთან – თამარ ბერაიასთან ერთად, ყოველთვის სპეციალისთა მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ნათია მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და პრიზიორია; არის ლიზა ლეონსკაიას, მიხეილ ტარივერდიევის და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.

ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში; გამართული აქვს კონცერტები საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, იტალიაში, სერბიაში, რუსეთში, უკრაინაში და აშშ-ში.

She graduated from the Tbilisi Musical Gymnasium (class of Dodo Tsintsadze), and later, from the Tbilisi State Conservatoire under Professor Nana Khubutia.

From early childhood, she was distinguished by a special musical talent. Her performances, both solo and in a piano duo with her sister Tamara Beraia, always earned the appreciation of experts.

N. Beraia is a laureate and prizewinner of many international piano competitions. She is a holder of Lisa Leonskaia, Mikhail Tariverdiev and the President of Georgia scholarships.

She often participates in the international music festivals. She has performed in France, Germany, Italy, UK, Switzerland, Serbia, Russia, Ukraine, Czech Republic and USA.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი შავერზაშვილი
**კომპოზიტორი, პიანისტი**

## GIORGI SHAVERZASHVILI
**piano, composer**



დაიბადა მდიდარი მუსიკალური ტრადიციების ოჯახში.

დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით, ხოლო ასპირანტურა – როგორც ფორტეპიანოს, ასევე კომპოზიციის განხრით. არის ამიერკავკასიის რესპუბლიკების პიანისტთა კონკურსის პრიზიორი, ხოლო როგორც კომპოზიტორი – მრავალი ჯილდოსა და პრემიის ლაურეატი.

1975 წლიდან მუშაობს თბილისის სახ. კონსერვატორიაში. არის საკომპოზიციო მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

გიორგი შავერზაშვილი ეწევა აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას, როგორც კლასიკურ მუსიკაში, ასევე ჯაზის სფეროში.

